



რობერტ გრეივზი

მე, კლავდიუსი

დიდგენის
ბიბლიოთეკა

რობერტ გრეივზი
მე, კლავდიუსი

Robert Graves
I, CLAUDIUS

ინგლისურიდან თარგმნეს ზაზა ჭილაძემ და გია ჭუმბურიძემ

გარეკანზე: ბენედეტო ჯენარი უმცროსის „კლეოპატრა“ (ფრაგმენტი)

Copyright by The Trustees of the Robert Graves Copyright Trust
This edition is published by arrangement with United Agents LLP and The Van Lear LLC

All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2017

ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-526-4

[www.diogene.ge](http://www.dioгене.ge)

... მონათხრობს ხომ ყველა სხვადასხვა
მხრიდან აბამს ყურს, თანამედროვეცა
და შთამომავალიც; ამიტომ ნებისმიერი
მნიშვნელოვანი მოვლენა მუდამ ეჭვისა
და ბუნდოვანების საბურველშია ხოლმე
გახვეული: ვის ჭორიც სარწმუნო საბუთად
უჩანს, სხვას მომხდარი ჰგონია გამონაგონი,
დრო კი ყველაფერს თავის ფასს ადებს.

ტაციტუსი

მე, კლავდიუსი

I

მე, ტიბერიუს კლავდიუს დრუზუს ნერონ გერმანიკუს და ა.შ. და ა.შ. (ჩემი ყველა ნოდების ჩამოთვლითაც არ შეგანყენთ თავს), ვინაც ერთ დროს და არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ნაცნობ-მეგობრებისა თუ ნათესავების წრეში მოვიხსენიებოდი, როგორც „კლავდიუს ჩლუნგი“ თუ „ის ჩემის კლავდიუსი“, „კლავდიუს ბლუ“, „კლავკლავ-კლავდიუსი“, ანდა, მთლად უკეთეს შემთხვევაში – „საწყალი ძია კლავდიუსი“, დღევანდელ დღეს საკუთარი, ერთობ უცნაური ცხოვრების წერად ვჯდები; სულ ადრეული ბავშვობიდან გამოვუყვები და წლიდან წლამდე გამოვივლი ერთხელ უკვე გამოვლილ გზას, ვიდრე იმ საბედისწერო ცვლილებამდე, **[აბ. წ. 41 წ.** ამ რვა წლის წინ სრულიად რომ შემიტრიალა ყოველივე და, ორმოცდათერთმეტ წელს მიტანებული, უეცრად იმ, ასე ვიტყვოდი, „ოქროს ბადეში“ გამაბა, რომლისგანაც დღემდე ველარ დამიღწევია თავი.

ეს თხზულება კი ვერანაირად ვერ ჩაითვლება ჩემს პირველ მცდელობად: სიმართლე ითქვას, მწერლობა და, მით უფრო, ისტორიული ხასიათისა (ამ მეცნიერებას ჯერ კიდევ ყმანვილკაცობისას რომშივე ვეუფლებოდი იმდროინდელ საუკეთესო მოძღვართაგან) ერთადერთ საქმიანობად მიჩნდა მთელი ოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში, ვიდრე ზემოხსენებულ ცვლილებათა უამი დამიდ-

გებოდა. შესაბამისად, არც მკითხველი უნდა გააკვირვოს ჩემმა სიტყვაკაზმულობამ, რადგან ამ წიგნს მართლაცდა მე, კლავდიუსი, ვწერ და არა ჩემი რომელიმე მდივან-გადამწერი თუ ვინმე იმგვარ მემატიათაგანი, ვისაც რომ საჯარო პირნი, ჩვეულებისამებრ, ზე-პირსიტყვიერად ანდობენ საკუთარ მოგონებებს, აქაოდა ნაწერის სინატიფე აზრის სიმწირეს გადაწონის, ლიქნა კი ცოდვებს შემინილბავსო.

ყველა ღმერთს ვფიცავ, წინამდებარე თხზულებაში თავად გახლავართ ჩემივე მდივანიცა და აზრთა მემატიანეც; წერითაც საკუთარი ხელით ვწერ და განა რა ხეირს უნდა ველოდე ჩემსავე თავთან პირფერობით? ისიც ითქვას, ჩემი ცხოვრების ამბავი აქამდეც დამინერია: ერთხელ უკვე გავწიე იგივე ჯაფა და მთელი რვა წიგნი განვასრულე ქალაქ რომის არქივისათვის გადასაცემად. ერთობ მოსაწყენი საკითხავი კი გამომივიდა. ახლა გახსენებაც მესამეუშება და ერთადერთ გამართლებად იმას თუ ვიტყვი, ხალხის ხმას დავყევი-მეთქი, ხოლო თუ ბოლომდე გულწრფელი ვიქნები, ამ ორი წლის წინ, ხსენებული თხზულების წერისას სულ სხვა რამ საზრუნავი მანვა მხრებზე... ამიტომაც პირველი ოთხი წიგნის მეტი წილი ჩემს ბერძენ მდივანს ვუკარნახე და ვთხოვე კიდევ, არაფერი შემილამაზო-მეთქი (ცხადია, აუცილებლობის შემთხვევაში ამა თუ იმ წინადადების უკეთ გამართვას, შეუსაბამობების შეჯერებასა თუ გამეორებების გამოხშირვას არ ვგულისხმობდი); ოღონდ იმასაც ვაღიარებ, რომ ამა ნაშრომის თითქმის მთელ მეორე ნაწილსა და პირველის რამდენიმე თავს მაინც იმავე მდივნის, პოლიბიუსის (ასე ჯერ კიდევ მონობისას შევარქვი, სახელოვანი ისტორიკოსის პატივსაცემად) ხელი ატყვია, თუმცა კი ისე ბუნებრივად მოერგო ჩემეულ მონათხრობს, ახლა ველარავინ გაარჩევს, სად თავად კლავდიუსია და სად – მისი პოლიბიუსი.

კიდევ ვიმეორებ, დიდად მოსაწყენი წიგნი დავდე-მეთქი: მაინც ვერ გავბედე, უდიერად მომეხსენიებინა იმპერატორი ავგუსტუსი, ჩემი პაპის ძმა დედის მხრიდან; ვერც მის მესამე და უკანასკნელ ცოლს, ლივია ავგუსტას, ანუ ბებიაჩემს, ვაკადრე რამე, რაკილა

ერთიცა და მეორეც უკვე ღმერთთა სწორად შეერაცხათ, თავად მე კი ამ ღვთაებათა ქურუმობა მრგებოდა წილად. მართალია, სულ იოლად მოვახერხებდი ავგუსტუსის ტახტის უღირსი მემკვიდრეებისთვის მაინც გადამეკრა მწარედ, მაგრამ არც ამ ცდუნებას ავყევი. ისევ საკუთარ თავს თუ ვეცი პატივი: ალბათ, მაინც არ ივარგებდა არც ლივიასა და არც ავგუსტუსის გამართლება, ვინაც ბოლომდე ენდობოდა და ემორჩილებოდა კიდევ ამ გამორჩეულ, ოღონდ თან ყოვლად ამაზრზენ ბანოვანს, ისევე როგორც სიმართლის თქმა იმ ორ სხვა იმპერატორზე, ვის ხსოვნასაც აღარ იფარავს სარწმუნოებისადმი ჩვენი რიდი და ღმერთებისადმი მონივნება.

ასე და ამგვარად, მოსაწყენად სრული შეგნებით ვაქციე ის წიგნი, მხოლოდ მთლად ეჭვმიუტანელი ამბები შევიტანე შიგ, როგორცაა, ვთქვათ, მავანის ქორწინება მავანზე, იმ მავანის რომელიც ასულზე, ვისი გვარიც თამამად იწონებს თავს ამდენი და ამდენი ჯილდო-გვირგვინით, მაგრამ თან კრინტიც არ დამიძრავს შეუღლების პოლიტიკურ სარჩულსა თუ ნეფე-პატარძლის ოჯახთა შორის შემდგარ ფარულ გარიგებებზე. ვწერდი იმაზეც, ესა და ეს პიროვნება უეცრად გარდაიცვალა მას მერე, რაც აფრიკული ლელვი იგემა-მეთქი, ოღონდ იმ ამბავს კი ვაჩუმათებდი, ეგებ ლელვი სულაც მონამღული ყოფილიყო და ვილაცას ძალიანაც სდომებოდა ხსენებული პიროვნების დროზე ადრე იმქვეყნად გასტუმრება. ამაებისაგან შეგნებულად ვიკავებდი ხოლმე თავს, თუკი მომხდარი სასამართლოს გადანყვეტილებითაც არ იყო დასაბუთებული. მოკლედ, წიგნში ტყუილს არაფერს ვწერდი, ოღონდ არც სიმართლეს ვამბობდი იმ თვალსაზრისით, რა თვალსაზრისითაც ახლა ვაპირებ გულის ამობერტყვას.

როცა დღეს პალატინის ბორცვზე, აპოლონის ბიბლიოთეკაში ერთხელ კიდევ ჩაეხედე იმ წიგნს ზოგიერთი თარიღის დასაზუსტებლად, ჩემი ყურადღება სახელმწიფო მნიშვნელობის მოვლენებთან დაკავშირებულმა რამდენიმე ნაწყვეტმაც მიიქცია, რომელთა თაობაზეც დავიფიცებდი, უთუოდ ჩემი ნაწერი ან ნაკარნახევი მაინც იქნება-მეთქი, რადგან საკუთარი ხელწერა სხვისაში

არაფრით შემეშლება, არადა სრულებით არ მახსოვდა, როგორ და როდის ვწერდი ან ვკარნახობდი მათ. თუკი მაინც ვირწმუნებთ, რომ ავტორი პოლიბიუსია, მაშინ ხსენებული მონაკვეთები უალრესად ოსტატური მიბაძვის მაგალითად უნდა მივიჩნიოთ (ვალთარებ, ამაებში გასანაფად ჩემი შეთხზული სხვა ამბებიც შეეძლო მოეძია), მაგრამ თუ მაინც უშუალოდ ჩემი ხელიდანაა გამოსული წიგნის ეს აბზაცები, ესე იგი, მახსოვრობას კიდევ უფრო მწარედ უღალატია ჩემთვის, ვიდრე ამაზე ჩემი მტრები ქირქილებენ ხოლმე...

ახლა, ამ უკანასკნელ სტრიქონებს რომ გადავავლე თვალი, უცებ მივხვდი, იმდენად არ ვაქარწყლებ ამგვარ ეჭვებს, რამდენადაც ვაძლიერებ მათ – ჯერ ერთი, იმასთან დაკავშირებით, ვარ თუ არა ხსენებული თხზულების ერთადერთი ავტორი, და მეორეც – რამდენად სანდო შეიძლება ვიყო, როგორც მემისტორიე. და კიდევ: რამდენად კარგად მახსოვს ესა თუ ის ამბავი. ოღონდ შეცვლით მაინც აღარაფრის შეცვლას ვაპირებ. მხოლოდ იმას ვწერ, რასაც თავად განვიცდი და ვწერ ჩემივე ხელით, ხოლო რაც უფრო შორს შევტოპავ, ეჭვის მით ნაკლები საფუძველი დარჩება მკითხველს, მით უფრო, რომ რაიმეს მიჩუმათებას ვერ დამაბრალებს, რადგან ძალზე ბევრი რამ ილაღადებს ჩემსავე საწინააღმდეგოდ.

ოღონდ ჩემი ცხოვრების ესე ამბავი ჯერჯერობით დღის სინათლეს ვერ იხილავს და თუ მკითხავენ, აბა ვის უშლი გულსო, ასე ვუპასუხებ: შთამომავლობას-მეთქი. არა, შვილთაშვილებს თუ იმათ შვილებს კი არ ვგულისხმობ, არამედ შორეულ მომავალში მოაზრებულ თაობებს. და მაინც, იმედი მაქვს, თქვენ – ათასი წლის შემდეგ ქვეყნად მოვლენილ ჩემს სავარაუდო მკითხველებს – იმის განცდა დაგეუფლებათ, რომ უშუალოდ თქვენივე თანამედროვე მოგმართავთ, როგორც თავად მგონებია ხოლმე ხშირად, თითქოსდა კარგა ხნის წინ გარდაცვლილი ჰეროდოტე და თუკიდრე სწორედ მე მესაუბრებოდნენ. ჯერ კი მინდა ისიც აგიხსნათ, რატომ ვირჩიე ამგვარი შორეული გათვლა.

ამ თვრამეტი წლის წინ კამპანის მხარეში, კუმეს გავემგზავრე, რათა იქაური სიბილა მომენახულებინა, გაურუსის მთის ქვაბულ-

ში რომ წინასწარმეტყველებდა. საერთოდ, კუმე არასდროს ისაკ-
ლისებდა წინასწარმეტყველ ქალებს, რადგან, როცა ერთი სიბილა
კვდებოდა, როგორც წესი, მის მემკვიდრეობას მისივე რომელიმე
მხვეალთაგანი კისრულობდა და უმეტესწილად, ისიც წინამორბე-
დით იგდებდა სახელს. ისიც ითქვას, ზოგიერთი მათგანი არცთუ
მთლად სანდო ჩანდა, რადგან აპოლონი ყველას როდი უწყალო-
ბებდა ნათელხილვის გაცხადების უნარს. ზოგ სხვათა წინასწარ-
მეტყველება კი, მათივე აბურდული ნათქვამიდან გამომდინარე,
უფრო ბახუსის ნაკარნახევს ჰგავდა, ვიდრე აპოლონისას, რის გა-
მოც ბედის ამგვარ განჩხრეკას ხალხმა საერთოდ ეჭვის თვალით
დაუწყო ცქერა. მთელი სამასი წელი, მანამდე, სანამ სიბილად ჯერ
ავგუსტუსის „მრჩეველი“ დეიფობე არ იქცა, მერე კი უკვე ამაღ-
თეაც, ვინაც დღემდე ცოცხალია და სახელიც დიდი მოიხვეჭა, სულ
ერთმანეთზე უარესი სიბილები ენაცვლებოდნენ ურთიერთს.

ხსენებული ქვაბული ერთი პატარა, არტემიდესა და აპოლონის
სახელზე აგებული ბერძნული ტაძრის უკან მდებარეობს – კუმე
ხომ თავის დროზე ეოლიელთა ბერძნული ახალშენი იყო. ტაძრის
შესასვლელს ოქროცურვილი ფრიზი ამშვენებდა, რომლის შექმნა-
საც თავად დედალოსს მიანერენ, რაც სრული შეუსაბამობაა, რა-
მეთუ ტაძარი, დიდი-დიდი, ხუთასიოდე წელს თუ მოითვლის, დე-
დალოსი კი, სულ ცოტა, თერთმეტი საუკუნის წინ ცხოვრობდა.
ფრიზზე თეზევის და მინოტავრი არიან გამოსახულნი, რომლებიც
კრეტას ლაბირინთში ებრძვიან ერთმანეთს. ვიდრე სიბილასთან
სტუმრობის ნებართვას მივიღებდი, ჯერ არტემიდესა და აპოლო-
ნისთვის უნდა შემეწინრა მსხვერპლი ტაძრის საკურთხეველზე: აპო-
ლონისთვის – ხარი, არტემიდესთვის კი – ცხვარი.

დეკემბრის ცივი დღე იდგა. ერთიან კლდეში გამოჭრილი ქვაბუ-
ლი, საითაც ციცაბო, მიხვეულ-მოხვეული, ბნელი და ღამურებით გა-
მოვსებული ტალანი მიემართებოდა, საზარელი შესახედი გახლდათ.
წინდანინ კი გამოვიცვალე სამოსი, მაგრამ სიბილამ მაინც მიცნო –
ჩემმა ენაბლუობამ თუ გამცა. ბავშვობაში ძალიან ვუკიდებდი ენას
და, მართალია, მჭევრმეტყველების მასწავლებლთა მეცადინეობით,

ნელ-ნელა გამოვასწორე ეს ზადი (ყოველ შემთხვევაში, საჯარო გამოსვლებისას მაინც), მაგრამ მოუმზადებელი ჯერ ისევ გვარიანად ვბორძიკობ ხოლმე, მით უფრო, თუკი შინაგანი მღელვარება მომეძალება. არადა, სწორედ ასე დამემართა იქ, კუმეში.

როგორც იქნა, ტალანი გავიარე, თავად ქვაბულშიც შევედი და სიბილაც დავინახე. ქალზე მეტად მაიმუნს წააგავდა; ჭერიდან ჩამოკიდებულ გალიაში იჯდა სკამზე, ალისფერი კაბა ემოსა და საიდანღაც ზემოდან შემოღწეული ერთადერთი მენამული სხივის შუქზე გაშტერებული თვალები წითლად უელავდა. უკბილო პირიც ისე დაეფჩინა, თითქოს ილიმებაო.

ირგვლივ სიკვდილის სუნი ტრიალებდა, თუმცა მაინც ვაიძულე თავი, წინდანინ მომზადებული სალამი მეტქვა. ქალს არაფერი უპასუხია. მხოლოდ მცირე ხნის მერე მივხვდი, რომ წინა სიბილას, ახლახან, 110 წლის ასაკში გარდაცვლილი დეიფობეს მუმიციფირებულ სხეულს მივჩერებოდი. თვალის ბუდეებში შუშის ბურთულეები ჩაესვათ მისთვის, უკნიდან კი მოვევრცხლათ, რათა ნებისმიერ შუქზე აელვარებულიყო. ახლალა გამახსენდა: ყველა სიბილა თავის წინამორბედებთან ერთად ცხოვრობდა, ასე იყო დადგენილი. ერთი ხანობა დეიფობეს წინ ვიდექი, ვცახცახებდი და მისი გულის მოსაგებად პირმოთნედ ვილიმოდი. ეს წუთები უსასრულოდ გაინელა, ვიდრე ბოლოს ნამდვილი სიბილაც – ჯერ სრულიად ახალგაზრდა ქალი, სახელად ამალთეა – არ გამომეცხადა. მენამული სხივი მაშინვე გაქრა, ისევე როგორც დეიფობეს ნემტი (ეტყობა, რომელიღაც მხეველმა წითელშუქიანი სარკმელი დაგმანა), ზემოდან კი ახლა ფითქინა თეთრი ნათება დაეფრქვა ქვაბულის სიღრმეში სპილოს ძვლის ტახტზე მჯდომ ამალთეას. შუბლმალალი სახე ჰქონდა, შეშლილის მზერა და, მის წინამორბედ დეიფობესი არ იყოს, ერთხელაც არ შერხეულა. მუხლები მომეკვეთა, ენაც დამება და დიდის გაჭირვებით ამოვილულულე:

– ჰოი, სიბ-სიბ-სიბ...

იმანაც თვალი თვალში გამიყარა, კოპები შეიკრა და გამომავჯავრა:

– ჰოი, კლავ-კლავ-კლავ...

ძალიან შემრცხვა. მერე როგორღაც მივიკრიბე გონებაც და ნებისყოფაც და დიდი ძალდატანების ფასად მოვახერხე, მეთქვა: „ჰოი შენ, სიბილა! იმისათვის გეახელი, რომისა და საკუთარი ბედისწერის თაობაზე დაგეკითხო“.

გამომეტყველება თანდათან შეეცვალა, სახეზე წინასწარმეტყველის გზნება დაეტყო, ტანიც აუთრთოლდა, სუნთქვა გაუხშირდა; ქვაბულის ყველა კუთხე-კუნჭულში გრიგალი დატრიალდა, სადღაც კარი გაჯახუნდა, ჩემს სახესთან რაღაც არსებამ ბოროტად გაატყლაშუნა ფრთები, უცებ ერთიანად ჩამობნელდა და ამალთეამაც თავად ღვთაების ხმით წამოიწყო ბერძნულად:

*წყევლით ნაძრახსა და
ფულში ჩამხრჩვალს,
ავი სენი მოუღებს ბოლოს;*

*ათი წლის თავზე,
თავისდა ქირად,
გვირგვინს დაიდგამს
ენაბლუ, ჩლუნგი.*

თავს ზემოთ რამდენჯერმე ღონივრად აიქნია ხელი და მერე ისევ გააგრძელა:

*გარს შემოიხვევს ავსა თუ კეთილს,
თუმც ვერ შეასმენს ვერავის სიტყვას –
ათასწლეულის მერეღა ჩასწვდნენ
შთამომავლები იმის ნაბოღვარს...*

ეს იყო და ნათქვამს მთლად ზეგარდმო ხარხარი მოაყოლა, დიდებული და შემზარავი ხმა. მეც მოწინებით დაფუკარი თავი, საჩქაროდ გამოვბრუნდი და გამოვეცალე. ოღონდ ბნელ ტალანში

ფეხი დამიცდა, წავიქეცი, შუბლი და მუხლები გადავიყვლიფე და ლამის ცოცხალ-მკვდარმა გამოვალწიე სამზეოზე. მთელი გზა სულ ის ქუხილივით ხარხარი მომაცილებდა.

დღევანდელი გადასახედიდან, როგორც რომ უკვე განაფულ მეისტორიესა და ქურუმსაც, ვისაც წილად მერგო, ავგუსტუსის მიერ განჩხრეკილი სიბილასეული წინასწარმეტყველებანი გამოწვლილ-ვით შემესწავლა, უკვე შემიძლია, მეტ-ნაკლები თავდაჯერებით ავ-ხსნა მისანი ქალის მაშინდელი განალექსი: წყევლას რომ ახსენებდა, უთუოდ იმ ზეციურ რისხვას გულისხმობდა, რაც აგერ უკვე წლებია, თან გვდევს რომაელებს, კართაგენის მოსვრისადა გამო. ჩვენ ხომ ღმერთები, მათ შორის აპოლონიც, დავიფიცეთ, როცა კართაგენს მეგობრობისა და მფარველობის პირობა დაუდეთ; არადა, მეორე პუნიკური ომის შემდეგ კართაგენის სწრაფი მომჯობინებით გულგახეთქილმა რომმა ეშმაკური ხრიკებით ჩაითრია იგი ახლა უკვე მესამე პუნიკურ ომში, მისგან ქვა ქვაზე არ დატოვა, ერთიანად გადახნა იქაურობა და იავარქმნილ მინას ზედ ბლომად მარილიც მიმოაბნია. ამ წყევლის უმთავრეს იარაღად კი მართლაცდა სიმდიდრის დაუოკებელი ჟინი იქცა, მთელი რომი რომ მოიცვა მას მერე, რაც მან ალებ-მიცემობაში თავისი უმთავრესი მეტოქე გაანადგურა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ყველა სიმდიდრეს დაეპატრონა. ამგვარმა გამდიდრებამ კი მცონარობა, სიხარბე, სისასტიკე, ქვეგამხედვრობა, სილაჩრე, გაზულუქება და სხვა მრავალი, რომისთვის მანამდე სრულიად უცხო, სიგლახეც მოიტანა თან.

ხოლო რაც შეეხება თავზე გვირგვინის ჩემდა ჭირად დადგმას, რაიც ზუსტად ათი წლის შემდეგ მოხდა, ამას მკითხველი ქვემო-რე შეიტყობს. იმაზეც კარგა ხანს ვიფიქრე, რანაირად გახდებოდა ჩემი ნათქვამი ყველასთვის გასაგები ათასზე მეტი წლის შემდგომ და ბოლოსდა მივხვდი: სწორედ ეს სიტყვები უნდა აღმექვა ამ წიგნის დაწერის მოწოდებად. როცა შრომას განვასრულებ, გრავნილებს დამცავი სითხით გავაჯერებ, მერე ტყვიის ლუსკუმში დავლუქავ და მინაში ღრმად ჩავმარხავ, რათა იმ შორეულმა შთამომავლობამ მიაგნოს და მისი წაკითხვაც მოახერხოს. თუ სიბილას სწორად გავუგე,

მანამდე ალბათ ათასზე მეტმა წელმა მაინც უნდა განვლოს. აი მაშინ კი, როდესაც ყველა ამჟამინდელი მწერლის გადარჩენილი ნაწერი ენაბრგვილის ბოდვად მოეჩვენებათ, რამეთუ ისინი მხოლოდლა თანამედროვეთათვის წერენ და თან – გულისკანკალით, ჩემი თხზულება ყველაფერზე წრფელად და ღიად ილაღადებს. თუმცა არ ვიცი, ეგებ გადავიფიქრო კიდევ და ლუსკუმამი დალუქვისაგან თავიც შევიკავო. უბრალოდ, სადმე მოვათავსებ და იქვე დავტოვებ, ბედის ანაბარა: როგორც მეისტორიის ჩემეული გამოცდილება მკარნახობს, საბუთი მაშინ უფრო გადარჩება ხოლმე, როცა ბედს მიანდობ და არა წინდანის განზრახულ ქმედებას. ბოლოსდაბოლოს, მე ხომ თვით აპოლონმა მიწინასწარმეტყველა ეს სიბილას პირით, ჰოდა, ხელნაწერის გადარჩენაზეც მანვე იზრუნოს!

როგორც ხედავთ, ენად მაინც ბერძნული ვირჩიე, რადგან, ჩემი ღრმა რწმენით, ის მარად დარჩება საყოველთაო სამწერლობო ენად, ხოლო თუ წინასწარმეტყველება ახდა და რომი მოისრა, მაშინ მასთან ერთად ლათინურიც გადაშენდება. ეგეც არ იყოს, აპოლონის დედაენაც ხომ ბერძნულია...

განზრახული მაქვს, იმთავითვე დიდის სიფრთხილით მოვეკიდო თითოეულ თარიღსა თუ საკუთარ სახელს; ვახსენებაც არ მსურს, კართაგენისა და ეტრურის ისტორიაზე მუშაობისას რამდენი მტანჯველი საათი გამიტარებია იმის ამოცნობის მცდელობაში, თუ როდის, რომელ წელს მოხდა ესა თუ ის ამბავი, ან რამდენად ესადაგებოდა მავანისა და მავანის სახელი სინადვილეს: ხომ არ იგულისხმებოდა იქ მისი ვაჟი, შვილიშვილი, ან ეგებ შვილთაშვილიც კი, ან იქნებ საერთოდ არავითარ ნათესაურ კავშირში არ იყო მასთან. ამიტომ შევეცდები, მომავალ მეისტორიეთ მსგავსი სატანჯველი ავარიდო. ასე მაგალითად, როცა ჩემს თხზულებაში რამდენიმე დრუზუსს – მამაჩემს, საკუთარ თავს, ჩემს ვაჟიშვილს, ბიძაშვილსა თუ ძმისშვილს – ვახსენებ, ნებისმიერ შემთხვევაში აშკარად და ხაზგასმით მივუთითებ, მაინცადამაინც რომელ მათგანზეა ლაპარაკი. კიდევ ერთი მაგალითი: ჩემი აღმზრდელის, მარკუს პორციუს კატონის ხსენებისას იმთავითვე უნდა მივუთითო, რომ

არც ცენზორ მარკუს პორციუს კატონს ვგულისხმობ, მესამე პუნიკური ომის წამომწყებს, არც იმავე გვარ-სახელის მქონე მისსავე ვაჟიშვილს, საყოველთაოდ ცნობილ კანონმდებელს, არც შვილიშვილს – რომის ერთ-ერთ კონსულს, არც მის შვილიშვილის შვილს, იულიუს კეისრის დაუძინებელ მტერს, და არც მის კიდევ ერთ შთამომავალს, კილიკიის ბრძოლაში დაღუპულს, არამედ ზუსტად იმავე სახელის მატარებელ, უფრო შორეულ და სრულიად არაფრით გამორჩეულ ნაშიერს, ვისაც თავის დღეში არ გამოუვლენია არანაირი საჯარო ღირსება და არც მსგავსი აღიარება დაუმსახურებია. ავგუსტუსმა ის ჯერ მე მომიჩინა აღმზრდელად, მერე კი სხვა რომაელ კეთილშობილთა ყრმანიც ჩააბარა, ისევე როგორც არაერთი უცხოტომელი მეფისწული, რამეთუ წარმომავლობა უმაღლესი თანამდებობების დაკავების უფლებას კი აძლევდა, მაგრამ თანდაყოლილი სისასტიკის, გონებაშეზღუდულობისა და სიბეცის წყალობით უბრალო მასწავლებლობაზე მეტს ვერ მიაღწია.

ხსენებულ მოვლენათა ზუსტი დროის მისათითებლად, ჩემი აზრით, ყველაზე უპრიანი იმის აღნიშვნა იქნებოდა, რომ მე რომულუსის მიერ რომის დაარსებიდან 774 წელს და პირაბ. 6. 10 6.] ველი ოლიმპიადიდან 767 წლის შემდგომ მოვევლინე ქვეყნიერებას და რომ იმ დროისთვის უკვე ორი ათწლეული შესრულებულიყო, რაც იმპერატორი ავგუსტუსი, რომლის სახელსაც დავინყების მტვერი, სავარაუდოდ, ათასი და მეტი წლის მერეც არ წაეყრება, მართავდა რომს.

ვიდრე ამ შესავალ სათქმელს მოვილევდე, ორიოდ სიტყვა უნდა დავამატო სიბილასა და მის წინასწარმეტყველებათა თაობაზე: ხომ უკვე მოგახსენეთ, როცა კუმეში ერთი სიბილა აღესრულება, მის ადგილს მეორე იკავებს-მეთქი, ოღონდ მათგან ზოგი მეტ სახელს იხვეჭს და ზოგიც – ნაკლებს. იყო ერთი, ძალზე ცნობილი, სახელად დემოფილე, ვისაც ენეასი დაეკითხა რჩევას ჰადესში ჩასვლის წინ. მოგვიანებით გამოჩნდა კიდევ ჰეროფილეს, ვინც თავად ეახლა მეფე ტარკვინიუსს და იმაზე მეტ ფასად შესთავაზა თავის წინასწარმეტყველებათა კრებულის მიყიდვა, ვიდრე მეფეს ჭკაუში

დაუჯდებოდა; გადმოცემის თანახმად, როცა ქალს უარი მიუღია, გრაგნილთა ნაწილი დაუნვავეს, დარჩენილისთვის კი ისევ ის ფასი დაუდვია. რაკი ვერც ამჯერად შეთანხმებულან, კიდევ დაუნვავეს ცოტაოდენი, დაწვას გადარჩენილში კი ისევ იგივე ფასი მოუთხოვია. რაც არ უნდა უცნაური ჩანდეს, ამჯერად მეფე დათანხმებულა. ჰეროფილეს წინასწარმეტყველებანი ორგვარი ხასიათისა გახლდათ: გამაფრთხილებელი და სამომავლოდ დამაიმედებელი; ზუსტად იყო მითითებული ისიც, რა და როგორი მსხვერპლი მოულობდა გულს ღმერთებს ამა თუ იმ წინასწარი ნიშნების გამოჩენის შემთხვევაში. დროთა განმავლობაში ამ ყველაფერს კერძო პირთათვის გაცხადებული მნიშვნელოვანი და სარწმუნო წინასწარმეტყველებებიც დაემატა და როცა შემდგომ, ამა თუ იმ ნიშნიდან გამომდინარე, რომს აშკარა თუ ფარული საფრთხე ელოდა ხოლმე, წინასწარმეტყველებების გრაგნილთა მპყრობელ ქურუმებს სენატი ამ გრაგნილებში ჩახედვას ავალებდა და ისინიც ყოველ ჯერზე პოულობდნენ სათანადო პასუხს. ორმა ხანძარმა გრაგნილები ნაწილობრივ გაანადგურა, რის მერეც დაკარგული წინასწარმეტყველებები უკვე ქურუმთა შეჯერებული მახსოვრობის მეშვეობითღა აღადგინეს. ოღონდ ეტყობა, მახსოვრობა ზოგჯერ მაინც ღალატობდათ ღმერთების მსახურთ, რის გამოც ავგუსტუსმა ბრძანა, უფრო სარწმუნო ტექსტები გამოეხშირათ იმათგან, რომლებიც აშკარად ატარებდა ნაყალბევისა თუ უბრალო გულმავინყობის კვალს. იმავდროულად მოსახლეობიდანაც ამოიღეს ყველა ამგვარი საეჭვო ღირებულების მქონე კრებული, რომელთა ჯამმაც, საბოლოოდ, ორი ათასსაც კი გადააჭარბა. წინასწარმეტყველებების უკვე გადარჩეული გრაგნილები ავგუსტუსმა ზარდახმაში ჩაკეტა და ეს ზარდახმა პალატინის ბორცვზე, თავისივე სასახლის შორიახლოს აგებულ ტაძარში აპოლონის ქანდაკის ფერხითი დადგა. ავგუსტუსის გარდაცვალებიდან მცირე ხნის შემდეგ ხელთ ჩამივარდა ერთი უიშვიათეს ნიგნთავანი მისი პირადი ბიბლიოთეკიდან. ნიგნის სათაურია „სიბილასეული წინასწარმეტყველებანი, აპოლონის ქურუმთა მიერ ნაყალბევად მიჩნეულნი და დაკანონებულ კრებულითგან ამოღებულნი“. ტაეპები თავად ავგუსტუსს

გადაენერა ჩვეული ნატიფი ხელით და შეცდომებიც ჩვეული დაეშვა. შეცდომათა წყარო იმთავითვე უცოდინრობა კი გახლდათ, მაგრამ დამწერი მერე უკვე ცუდმედიდობის გამო ტოვებდა უცვლელად. ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ ამ ტაეპების უმეტესობა აროდეს წარმოუთქვამს არცერთ სიბილას, არც სიშმაგით შეპყრობილსა და არც განრინებულს. მათი შეთხზვა იმ უპასუხისმგებლო ხალხის ნათავებდარია, ვინაც საკუთარი თავისა თუ გვარის განდიდებას ესწრაფვოდა, ანდა მეტოქის გვარის მოსრვას ლამობდა და საამისოდ საკუთარსავე აღვზნებულ ნააზრევს ღვათებრივი წარმომავლობის საბურველში ხვევდა. შემომჩნევია, კლავდიუსთა გვარს ამგვარი სიყალბისაკენ გამორჩეული მიდრეკილება ახასიათებდა. თუმცა ორისამი ისეთი ტაეპიც აღმოვაჩინე, ენის კვალობაზე გაცილებით ძველი და, ეტყობა, მართლაც ზეგარდმო ძალით შთაგონებული, რომელნიც ავგუსტუსმა, ვისი სიტყვაც აპოლონის ქურუმთა მიერ კანონის ტოლფასად მიიჩნეოდა, მისგანვე ხელდასხმულ კრებულში ბუნდოვანი და ზაფრისმომგვრელი შინაარსის გამო აღარ შეიტანა.

ის მომცრო წიგნი ახლა აღარ მაქვს, მაგრამ თითქმის ყოველი სიტყვა მახსოვს ერთი, აშკარად უტყუარი, წინასწარმეტყველებიდან, რომელიც ბერძნულადაც იყო ნაწერი (როგორც დაკანონებული ადრეული ტექსტების მეტი წილი) და საყველბურო ლათინურითაც გახლდათ ნათარგმნი:

*კართაგენის წყევის საუკუნე
გრუზათმიანს აბატონებს რომში,
თუმცა ბატონს თმა არა აქვს თავზე;
კაცს – ცოლობას, ქალს კი ქმრობას უწევს,
დაჯირითობს უფლოქვებო რაშზე,
ბოლოს უღებს შვილი, არა-შვილი...
და სულს დაღევს არა ბრძოლის ველზე.*

*ტახტზე ადის სხვა გრუზათმიანი,
იმ პირველის შვილი-არაშვილი;*